

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №10- 4(ოთხი) ფურცელი
დასკვნა №10 – 1(ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ა.ს.არიშვილი

კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

თანამშრომლის ხელფასი და შტატგარეშე თანამშრომელი არის ერთი, შესაბამისად გაკეთებული ეკონომიის საფუძველზე როგორღაც მოხერხდა დამატებულ ბენეფიციართა გამოკვება. ასევე მომავალ წელს დაგეგმილია პურის წონის გაზრდა, თითო ბენეფიციარზე გათვლილი იყო 200გრ პური, რაც არ იყო საკმარისი და მათივე მოთხოვნის საფუძველზე ემატება 100 გრ პური, რაც იწვევს ბიუჯეტში ხარჯის 6000-მდე გაზრდას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაგეგმილი აქვს ხელფასების 20%-იანი ზრდა, რადგან თანამშრომლებს ფიზიკური დათვირთვა დაემატა.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ბენეფიციარების გამოკვება ყოველ მეორე დღეს უზრალოდ სირცხვილია, აუცილებელია ამ ხალხს მიეწოდოს საკვები ყოველდღიურად. ანზორ როყვამ აღნიშნა, რომ ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ერთი მანქანა ფიზიკურად ვერ შეძლებს ბენეფიციართა მომსახურებას, ორი მანქანა მაინც უნდა იყოს გამოყოფილი სოფლებში საკვების ჩამოსარიგებლად. მხოლოდ ტრანსპორტის ხარჯი შეადგენს დაახლოებით 7000 ლარს და მათი ყოველდღიური საკვებისთვის კი საჭირო იქნება დაახლოებით 20000 ლარის დამატება.

დეპუტატმა დავით ჩხარტიშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ სოფელ ნინოშვილში არასწორადაა შერჩეული ბენეფიციარები.

კოსიის თავმჯდომარემ ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ არასწორია. სოფლებში არის ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებიც საჭიროებს მსგავსი კუთხით დახმარებას. ჯერჯერობით მოსახლეობა აღნიშნული პროგრამის არსებობის შესახებ არ არის ინფორმირებული და როცა შეიტყობენ აუცილებლად იქნება მათი მხრიდან მომართვა ბენეფიციართა სიაში ჩასმის თაობაზე. აქედან გამომდინარე შეიქმნება უფრო ცუდი სიტუაცია.

დეპუტატმა ალექსანდრე მახათაძემ დააყენა წინადადება, რომ ა(ა) იპ უფასო სასაბუღალტრო ჩამოცილდეს სოფლის ბენეფიციართა გამოკვება და სოციალურმა სამსახურმა შეიმუშაოს რაიმე სახის პროგრამა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა დეპუტატთა უმრავლესობა.

კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე სარიშვილმა დააყენა წინადადება, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „უფასო სასაბუღალტრო მზრუნველობამოკლებულთათვის“ მოეხსნას ფუნქცია, რომელიც ითვალისწინებს სოფლებში ბენეფიციართა გამოკვებას და ა(ა)იპ-ი მოემსახუროს მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბენეფიციარებს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში ეს დაკავშირებული იქნება ძალიან დიდ ხარჯებთან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვერ მოხერხდება საჭირო თანხის გამოყოფა, რასაც დაეთანხმა დეპუტატები.

დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით (90000 ლარით) აღნიშნული სასაბუღალტრო დაფინანსებაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლის დირექტორმა დურმიშხან ჩხაიძემ წარმოადგინა 2017 წლის ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ხარჯები სულ შეადგენდა 227150 ლარს, აქედან 34500 ლარი გათვლილი იყო შრომის ანაზღაურებაზე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შეადგენდა 100800 ლარს, მივლინების ხარჯი-3000 ლარს, ოფისის ხარჯები-9650 ლარს, სამედიცინო ხარჯები 300 ლარს, საოფისე ინვენტარის ხარჯები-1000 ლარს, სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი- ლარს, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი-4900 ლარს. მან ასევე

აღნიშნა, რომ გასულ წელს წარმოდგენილი სკოლის ბიჯეტი შეადგენდა 65 000 ლარს. მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ქალთა ფეხბურთის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ, რაც შესაბამის ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამიტომ მომავალი წლის ბიუჯეტის ზრდაც აქედანაა განპირობებული. ასევე აუცილებელია გოგონებს, გუნდის წევრებს დაენიშნოთ მინიმალური ხელფასი წახალისების მიზნით. თუ არ მოხდება სკოლის შესაბამისად ფინანსური უზრუნველყოფა გუნდი ვერ მიიღებს ჩემპიონატში მონაწილეობას, მაგრამ ამისთვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ჩემპიონატზე უარი უნდა განაცხადოს ოფიციალური წერილის სახით. ასევე მიმდინარე წელს შეიქმნა პრობლემები ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ა(ა)იპის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 350%-ითაა გაზრდილი.

დურმიშხან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ თუ მიუხედავად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა თუ მოხდება სკოლის დაფინანსება 100 000 ლარით, იგი შედზღვრებს გუნდის ფუნქციონირებას, მაგრამ ვერ მოხერხდება შეკრებებზე წასვლა.

დეპუტატმა აკაკი იმნაიშვილმა დასვა შეკითხვა იმის თაობაზე ხდებოდა თუ არა ფედერაციის მხრიდან რაიმე სახის ფინანსური დახმარება, რაზეც დურმიშხან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ფედერაციამ უმაღლეს ლიგაში გადასვლასთან დაკავშირებით მხოლოდ 20 ცალი ბურთი გადასცა სკოლას, სხვა არანაირი ფინანსური დახმარება არ მიუღიათ.

დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ აღნიშნული ა(ა)იპის შექმნას მხარი დაუჭირა იმის გამო, რომ სხდომაზე გაჟღერდა სამომავლოდ ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერა. მან აგრეთვე გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყველა სპორტული ა(ა)იპი უნდა გაერთიანდეს ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლასთან და შესაბამისად ხარჯებიც ნაკლები იქნება. დურმიშხან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ გოგონათა გუნდი არის ძალიან წარმატებული და ისინი 22 ქვეყანაში არიან ნამყოფი.

დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა აღნიშნული ა(ა)იპის 75000 ლარით დაფინანსებაზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა ვლადიმერ ჩხაიძემ წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ხარჯი სულ შეადგენდა 140290 ლარს, აქედან 97080 ლარი გაწერილია შრომის ანაზღაურებაში, შტატგარეშეთა ხელფასები შეადგენს 29040 ლარს, სამედიცინო ხარჯები-1000 ლარს, მივლინებისთვის გამოყოფილია 600 ლარი, ოფისისთვის-600 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ ყოველი წლის ბოლოს ჯანდაცვის ცენტრს ექმნება პრობლემები ხელფასების გაცემასთან დაკავშირებით, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება ა(ა)იპის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის შესაბამისად. ასევე არის ოფისის პრობლემაც. შენობა, რომელშიც ჯანდაცვის ცენტრი განთავსებულია დროებით არის ავარიულ მდგომარეობაში.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ჯანდაცვის ენთრის თანამშრომლების საშუალო ხელფასი შეადგენს 385 ლარს, რაც ძალიან დაბალია.

დეპუტატმა ომარ გოგიჩაიშვილმა აღნიშნა, რომ თუკი არის საშუალება, რომ ჯანდაცვის ცენტრში განხორციელდეს ხელფასების 20%-იანი მატება, მაშინ დაფინანსდეს აღნიშნული ა(ა)იპი მოთხოვნის შესაბამისად, რასაც დაეთანხმა დეპუტატი დავით ჩხარტიშვილი და აღნიშნა, რომ თუ ჯანდაცვის ცენტრში არ განხორციელდება ხელფასების მატება იგი მხარს არ დაუჭერს 2017 წლის ბიუჯეტს.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ დააყენა წინადადება, რომ ჯანდაცვის ცენტრი დაფინანსდეს 150000 ლარით და ცენტრში მოხდეს ხელფასების 20%-იანი ზრდა, რასაც დაეთანხმა დეპუტატთა უმრავლესობა.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ჯანდაცვის ცენტრის 150000 ლარით დაფინანსებას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო სკოლის დირექტორმა სულხან წილოსანმა წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც ხარჯები შეადგენდა 282800 ლარს, აქედან შრომის ანაზღაურება-54000 ლარს, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება-110000 ლარს, მივლინების ხარჯი-4000 ლარს, ოფისის ხარჯი-16000 ლარს, სამედიცინო ხარჯი-1000 ლარს, რბილი ინვენტარი-10000 ლარს, საქონელი და მომსახურეობა- 148000 ლარს, სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები-5000 ლარს და არაფინანსური აქტივების ზრდა-75800 ლარს. მან ასევე აღნიშნა, რომ სკოლას გადაეცა სოფ. ჩიბათში სტადიონი, რომელიც საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რათა ბავშვებმა ივარჯიშონ. სტადიონის რემონტისთვის საჭიროა 40000 ლარი, რაც გასათვალისწინებელია 2017 წლის ბიუჯეტში. ასევე რამდენიმე წელია საფეხბურთო სკოლის თანამშრომლებზე არ მომხდარა ხელფასების მატება, რაც 2017 წელსაა დაგეგმილი.

დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ სოფ ჩიბათის სტადიონი აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს და საჭირო თანხის ასახვა უნდა მოხდეს მომავალი წლის ბიუჯეტში.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს იყო ლაპარაკი, რომ საფეხბურთო სკოლა დაფინანსდებოდა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე მან სკოლის ხელმძღვანელს დაავალა, რომ ინფრასტრუქტურის ხარჯების ცალკე გამოყოფა და ხარჯთაღრიცხვის ისე წარმოდგენა. ასევე აღნიშნა, რომ თუ საფეხბურთო სკოლა დაფინანსდება ფონდიდან, მაშინ ინფრასტრუქტურის ხარჯის ჩარიცხვა მოხდეს შპს ლანჩხუთის ანგარიშზე.

დეპუტატებმა მოითხოვეს საფეხბურთო სკოლის ხარჯთაღრიცხვის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენა, რომელშიც ინფრასტრუქტურის ხარჯები ცალკე იქნებოდა ასახული.

სხვადასხვა

-დეპუტატმა გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში არ არის წარმოდგენილი საფეხბურთო კლუბ გურიას დაფინანსება, კლუბს კი გააჩნია დავალიანება. მან დასვა შეკითხვა თუ საიდან მოხდებოდა აღნიშნული დავალიანების დაფარვა, რაზეც როლანდ ლაშვიამ განმარტა, რომ კლუბის დავალიანების თანხა ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

-დეპუტატმა თეიმურაზ ალექსაიამ აღნიშნა, რომ კლუბ ლანჩხუთის გურიას დაფინანსების თანხა მიმდინარე წელს შეადგენდა 1250000 ლარს და მომავალ წელს კლუბი აღარ ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მან დასვა შეკითხვა თუ სად მოხდა აღნიშნული თანხის გადანაწილება, რაზეც ალექსანდრე სარიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ 2017 წლის ბიუჯეტი შემოსავლით ნაწილში მიმდინარე წელს შემცირებულია 500000 ლარით, ასევე ტრანსფერი ნაკლებია 270000 ლარით, დარჩენილი 500000 ლარით კი მოხდა რამდენიმე ა(ა)იპის დაფინანსების გაზრდა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე:

ა.ს.ა.  ალექსანდრე სარიშვილი

ქ. ლანჩხუთი

21.11.2016 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №10

2016 წლის 21 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

2. სხვადასხვა

- დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით (90000 ლარით) აღნიშნული სასადილოს დაფინანსებაზე.

- დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს თანხმობა აღნიშნული ა(ა)იპის 75000 ლარით დაფინანსებაზე.

- დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ჯანდაცვის ცენტრის 150000 ლარით დაფინანსებას.

- დეპუტატებმა მოითხოვეს საფეხურთო სკოლის ხარჯთაღრიცხვის კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენა, რომელშიც ინფრასტრუქტურის ხარჯები ცალკე იქნებოდა ასახული.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე :



ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.11.2016 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე სარიშვილი	11 ⁰⁰	ა. ს. რ.
2	ჯუმბერ ბლაგიძე	10 ⁵⁵	ჯ. ბ.
3	თეიმურაზ ალექსაია	11 ⁰⁰	თ. ა.
4	დავით ჩხარტიშვილი	11 ⁰⁰	დ. ჩ.
5	ალექსანდრე მახათაძე	10 ⁵⁰	ა. მ.
6	გიორგი გოგუაძე	10 ⁵⁵	გ. გ.
7	გიორგი ჩახვაძე	10 ⁵⁵	გ. ჩ.
8	ომარ გოგიჩაიშვილი	10 ⁵⁵	ო. გ.
9	აკაკი იმნაიშვილი	11 ⁰⁰	აკაკი იმნაიშვილი